

ბაალიშვილი თენგიზ მალხაზის ძე

ბაალიშვილი თენგიზ მალხაზის ძე (დ. 18. VI.1949, თბილისი), ბიოქიმიკოსი. საქართველოს მეცნ. ეროვნ. აკად. წ.-კორ. (1997). ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1992), პროფესორი (2001). 1971 დაამთავრა თსუ-ის ბიოლ. ფაკ-ტი, 1974-86 მუშაობდა ი. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლ. ინ-ტში უმცროს და უფრ. მეცნიერ თანამშრომლად. 1986-იდან მუშაობს მოლეკულური ბიოლ. და ბიოლ. ფიზიკის ინ-ტში გენომის სტრუქტურისა და ფუნქციის ლაბორ. გამგედ. 2000-06 იყო ამ ინ-ტის დირექტორი, 1996-2006 - თსსუ-ის ბიოქიმიის კათედრის და თსუ-ის უკრედის და მოლეკულური ბიოლ. კათედრის პროფესორი. მ-ის გამოკვლევები ეხება ეუკარიოტულ უკრედებში ბირთვული მატრიქსის სტრუქტურულ-ფუნქციური ორგანიზაციისა და ადფ-რიბოზომილირებით ცილების მოდიფიკაციის როლის შესწავლას. არის საქართვე. ბიოქიმიკოსთა ასოციაციის წევრი, მრავალი საერთაშ. ორგანიზაციის წევრი, სამეცნ. შრომების ავტორი.
